

## ASCETIC TEACHING «ABOUT HEAVEN AND SPIRITUAL LAW»

### ასკეტური სწავლება „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“

Rati Sturua

PhD student of Tbilisi Theological Academy and Seminary of the  
Apostolic Autocephalous Orthodox Church of Georgia  
Tbilisi, Georgia

ORCID ID: 0009-0008-9986-4293  
(+995) 598929295; sturuarati5@gmail.com

#### Abstract

The research presented in our article aims to study Old Georgian translation («About heaven and spiritual law» – translator Ephrem Mtsire) of famous works authored by Mark the Monk. It should be emphasized that the teachings contained in the work have not been the subject of special research until now. First of all, we had the obligation to textually process and prepare for publication the old Georgian translation of the mentioned teachings. We compared the mentioned translation with the Greek original, we identified the terminological-stylistic features of the translator. Also, our goal was to translate the original (Greek) text into new Georgian, discuss the content of Mark the Monk teachings, and their exhaustive theological analysis. For visibility, we will present the research conducted by us in the abstract, the unpublished part of which will be published in the next article. The critical text of the old Georgian translation and the new Georgian translation of the Greek original are not given in the presented article.

As a result of the philological-theological analysis of Greek and Georgian texts, the following issues were revealed:

a) First of all, it should be noted that the translation is made with meticulous accuracy in relation to the original. Almost all the participle forms of the Greek verb are translated into Georgian with the participle, and the personal form of the verb is conveyed by the personal form. This kind of translation is typical for Ephrem Mtsire (Kekelidze 1980: 254).

b) The old Georgian translation of Greek terms is distinguished by its special meaning and content. In many cases, this or that Greek term of complex content is specified with the relevant old Georgian equivalent, which helps the Georgian reader to adequately understand the teachings of complex theological content.

c) Here we find that due to damage to the A-60 manuscript, the last chapter of the Ephraimian translation is missing some sentences (ch. 11) (A-60, 14).

d) As for the question of the author of the works, researcher A. Galland published Mark's works in 1772: «Bibliotheca veterum patrum antiquotumque scriptorium ecclesiasticorum Graecorum», where he named Makari Great as the author of the work (Durand 1999: 37; Ашмарин 2013: 40-41).

In the oldest Georgian manuscript of the 10th century Mark the Monk is named as the author of the mentioned works, after that, Ephrem Mtsire, who worked in the 11th century, names Mark the Monk as the author of the same works. Old Russian translations confirm the same.

**Key words:** Mark the Monk, Ephrem Mtsire, author, translation, old Georgian.

## რეზიუმე

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია სემინარიის დოქტორანტი  
თბილისი, საქართველო  
ORCID ID: 0009-0008-9986-4293  
(+995) 598929295; sturuarati5@gmail.com

## აბსტრაქტი

სტატიაში წარმოდგენილი გამოკვლევა მიზნად ისახავს ფილოლოგიურ-თეოლოგიური კუთხით შევისწავლოთ წმ. მარკოზ მონაზონის ავტორობით ცნობილი თხზულების ძველი ქართული (ეფრემ მცირისეული) თარგმანი („სამოთხისათვის და შჯულისა სულიერისა“). ხაზგასასმელია, რომ თხზულებაში მოცემული სწავლებები აქამდე საგანგებო კვლევის საგანი არ გამხდარა. უპირველესად გვქონდა ვალდებულება იმისა, რომ ტექსტობრივად დაგვემუშავებინა და გამოსაცემად მოგვეზადებინა ხსენებული სწავლებების ძველი ქართული თარგმანი. აღნიშნული თარგმანი შევუდარეთ რა ბერძნულ ორიგინალს, გამოვავლინეთ მთარგმნელის ტერმინოლოგიურ-სტილური თავისებურებანი. ასევე, ჩვენს მიზანდასახულობას წარმოადგენდა ორიგინალი (ბერძნული) ტექსტის ახალ ქართულად თარგმნა, მარკოზ მონაზონის სწავლებათა შინაარსობრივი განხილვა, და მათი თეოლოგიური ანალიზი. თვალსაჩინოებისთვის აბსტრაქტში სრულად წარმოვაჩინეთ გამოკვლევას, რომელსაც ეტაპობრივად გამოვცემთ. წარმოდგენილ სტატიაში ძველი ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტი და ბერძნული ორიგინალის ახალი ქართული თარგმანი მოცემული არ არის.

ბერძნული და ქართული ტექსტების ფილოლოგიურ-სადვითისმეტყველო ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი საკითხები:

ა) პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ თარგმანი დედანთან მიმართებით ზედმიწევნითი სიზუსტითაა შესრულებული. ბერძნული ზმნის თითქმის ყველა მიმღეობური ფორმა ქართულად მიმღეობითვია თარგმნილი, ხოლო ზმნის პირიანი ფორმა შესაბამისად ზმნის პირიანი ფორმით არის გადმოცემული. თვით ზმნის გვარის კატეგორიაც აბსოლუტურად ზუსტად არის თარგმნილი. წმ. ეფრემ მცირისთვის ამგვარი თარგმანი დამახასიათებელია (კეკელიძე 1980: 254).

ბ) ბერძნული ტერმინების ძველი ქართული თარგმანი გამოირჩევა განსაკუთრებული აზრითა და შინაარსით. ხშირ შემთხვევაში დაზუსტებულია ესა თუ ის რთული შინაარსის ბერძნული ტერმინი შესაბამისი ძველი ქართული შესატყვისით, რაც ხელს უწყობს ქართველ მკითხველს, რომ რთული თეოლოგიური შინაარსის სწავლებანი ადეკვატურად გაიაზროს.

გ) აქვე დავძენთ, რომ A-60 ხელნაწერის დაზიანების გამო ეფრემისეული თარგმანის ბოლო თავს რამდენიმე წინადადება აკლია (თ. 11) (შდრ. A-60, 14).

დ) რაც შეეხება თხზულების ავტორის ვინაობის საკითხს, პატროლოგმა ა. გალანდიმ 1772 წელს გამოსცა მარკოზის ნაშრომები: «Bibliotheca veterum

patrum antiquotumque scriptorium ecclesiasticorum Graecorum», სადაც აღნიშნული თხზულების ავტორად წმ. მაკარი დიდი დაასახელა (Durand 1999: 37; ასევე იხ. Ашмарин 2013: 40-41).

ა. გალანდის ამ მონაცემებზე დაყრდნობით, 1864 წელს გამოცემულ ჟ. მინის პუბლიკაციაში (Patrologia Graeca) (PG.) ჩვენ მიერ განსახილველი თხზულება მაკარი დიდის შრომებში შევიდა, როგორც „37-ე ჰომილია“ (PG. 34, col. 750-757).

X საუკუნის უძველეს ქართულ ხელნაწერში აღნიშნული თხზულების ავტორად მარკოზ მონაზონია დასახელებული. ამის შემდგომ, XI საუკუნეში მოღვაწე წმ. ეფრემ მცირე ამავე თხზულების ავტორად მარკოზ მონაზონს ასახელებს. ამავეს ადასტურებს ძველი რუსული თარგმანებიც.

**საკვანძო სიტყვები:** მარკოზ მონაზონი, ეფრემი მცირე, ავტორი, თარგმანი, ძველი ქართული.

### შესავალი

საკვლევ საგანს წარმოადგენს წმ. ეფრემ მცირის თარგმანი ნაშრომისა „სამოთხისათვის და შჯულისა სულიერისა“. ასევე, სტატიაში განვიხილავთ ხსენებული ნაშრომის ისტორიულ ცნობებსა და წმ. მარკოზ მონაზონის აქამდე უცნობ, უძველეს, ქართულ თარგმანს (წმ. მარკოზ მონაზონი (V ს.) საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა ქრისტიანულ სამყაროში, მისი ნაშრომები კი აღქმულია, როგორც ასკეტური სწავლების ერთ-ერთი საფუძველი. ასევე დადასტურებულია, რომ მარკოზის მიერ გამოთქმულ და ჩამოყალიბებულ მოძღვრებას, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სულიერ და ზნეობრივ საკითხს, შეგონებასა თუ დარიგებას, რამდენიმე დიდი წმინდა მამა იყენებს საკუთარ შემოქმედებაში).

ეფრემისეული თარგმანი მოთავსებულია A-60 ხელნაწერში (A ფონ., N 60: 1-86) და XIII საუკუნითაა დათარიღებული. სხვა ნუსხა ამ თარგმანისა არ მოგვეპოვება. წმ. ეფრემ მცირის მიერ თხზულების ავტორად დასახელებულია წმ. მარკოზ მონაზონი. A-60 ხელნაწერში, გარდა ამ თხზულებისა, მოცემულია მარკოზ მონაზონის სამი ცნობილი ნაშრომის თარგმანი, რაც, ასევე, შესრულებულია ეფრემ მცირის მიერ. ეს აღმოჩენა და ამ საკითხების მეცნიერული გამოკვლევა ე. ჭელიძეს მიეკუთვნება (ჭელიძე 2013: 74).

ეფრემისეული თარგმანის კვლევისას, ერთ-ერთ უპირატეს მიზანს წარმოადგენდა თხზულების „სამოთხისათვის და შჯულისა სულიერისა“ ძველი ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტის დადგენა, რაც 2022 წელს განვახორციელეთ. გარკვეული მიზეზების გამო, მეცნიერულად დადგენილი ტექსტის გამოცემა იმ დროისთვის ვერ მოხერხდა.

ინფორმაციის სახით აღვნიშნავთ, რომ ეფრემ მცირის თარგმანის „სამოთხისათვის და შჯულისა სულიერისა“ ტექსტი გამოიცა 2023 წელს ექვთიმე კოჭლამაზაშვილის მიერ. აღნიშნული გამოცემა ხარვეზიანია, რადგან გამომცემელს არამართებულად აქვს გააზრებული A-60 ხელნაწერში არსებული თხზულების („სამოთხისათვის და შჯულისა სულიერისა“) სტრუქ-

ტურა. კერძოდ, გამომცემელის აზრით, „ფურცელთა გადანაცვლების გამო ორადაა გაყოფილი საკითხავი – «სამოთხისათვის და შჯულისა სულიერისა». მისი დასაწყისი ნაწილი უადგილოდ, 9-30 გვერდებადა ჩაკინძული ხელნაწერში. მართებული მიმდევრობის აღსადგენად ეს ფურცლები უნდა გადანაცვლდეს 79-ე გვერდის წინ, რადგან სწორედ აქედან იწყება მისი გაგრძელება, და 86-ე გვერდით მთავრდება“ (კოჭლამაზაშვილი 2023: 17).

ე. კოჭლამაზაშვილის მიერ გამოქვეყნებული ტექსტის ხარვეზი განაპირობა იმ გარემოებამ, რომ გამომცემელმა ვერ მოიძია გამოსაცემი ტექსტის ბერძნული დედანი (კოჭლამაზაშვილი 2023: 17).

### მეთოდები

საკითხის შესწავლისას გამოყენებულია კვლევის ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: სისტემურ-სტრუქტურული, ისტორიულ-შედარებითი, ლოგიკური და შინაარსობრივი ანალიზის მეთოდები. საკვლევი თემატიკის უკეთ გააზრების მიზნით, შედარებითი ანალიზის მეთოდი იმ მხრივაც განსაკუთრებული, რომ იგი გარკვეული ფაქტებისა და მოვლენების შედარების საფუძველზე მოპოვებული ინფორმაციის სპეციფიკურ ანალიზს გულისხმობს. ტექნიკური მეთოდების გამოყენებით, პირველადი წყაროების – უძველესი ხელნაწერების შესწავლის შემდეგ ტექსტოლოგიური კვლევა განვახორციელეთ.

### შედეგები

თვალსაჩინოებისთვის, წარმოვადგენთ A-60 ხელნაწერში მოცემულ ტექსტებს, რომლებიც წმინდა მარკოზ მონაზონს მიეკუთვნება, და თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ. ბერძნულ ტექსტს ახლავს ჩვენ მიერ შესრულებული ახალი ქართული თარგმანი, რომელიც კავებშია ჩასმული.

ხელნაწერის პირველი გვერდიდან მეცხრე გვერდამდე არსებული ტექსტის ნაწილი განეკუთვნება წმ. მარკოზის თხზულების – „კითხვად მისივე ნეტარისა მამისა მარკოზის მიმართ წმიდისა ნათლისღებისათვის“ (57-78; 1-9) – დასასრულს. ეს თხზულება იწყება 57-ე გვერდიდან და წყდება 78-ე გვერდზე, ხოლო ბოლო 9 გვერდი A-60 ნუსხის დასაწყისშია განთავსებული. A-60 ხელნაწერში სრულად არის წარმოდგენილი თარგმანი აღნიშნული ნაშრომისა: Περὶ τοῦ αἵματος βαπτίσματος [წმინდა ნათლისღების შესახებ] (De baptism: CPG 6093, PG. 65, col. 985 -1028) [მოცემულ ქვეთავში ცნობილ კატალოგს – Clavis Patrum Graecorum, ვიმოწმებთ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ფორმით CPG, ხოლო ბიბლიოგრაფიაში ვუთითებთ საგამოცემლო ჟურნალში დამკვიდრებული წყაროების დამოწმების წესის მიხედვით: Geerard, Clavis Patrum Graecorum III – Geerard M., Clavis Patrum Graecorum III, CVRA ET STVDIO, Maurice Geerard, Brepols-Ternhout, 1979. ასევე, ჟ. მინის პუბლიკაციას (Patrologia Graeca-ს) ვიმოწმებთ შემოკლებით – PG. ბიბლიოგრაფიაში კი მოცემულია სრული სახით: Migne, PATROLOGIAE CURSUS COMPLETUS – Migne J.-P., PATROLOGIAE CURSUS COMPLETUS, Accurante J.-P. MIGNE, Bibliothecae Cleri universae, Tomus LXV, 1864)].

Inc. 57: „**კითხუა** ვინადათგან უკუღ რომელნიმე სრულად იტყუან წმიდასა ნათლისღებასა, მიყრდნობილნი სიტყუასა მას წერილისასა: ...“ – **Ἐρω-  
τησις:** Ἐπειδὴ οἱ μὲντέλειον λέγουσι τὸ ἄγιον βάπτισμα, ἐπεπειδόμενοι τῇ Γραφῇ  
λεγοῦσθαι. **[კითხვა:** რადგანაც ერთნი ამბობენ, რომ სრულყოფილია წმინდა  
ნათლისღება, ეფუძნებიან რა (წმინდა) წერილს, რომელიც ამბობს: ...].

Des. 9: „ვინ ცნა გონებად უფლისა ანუ ვინ თანამზრახვალ ეყო მას ანუ  
ვინ წინა მისცა მას რამდემ, რაათა ნაცვალი მოეგოს მას? რამეთუ მისგან და  
მის ძლით და მისსა მიმართ ყოველი. მისსა დიდებად დაუსრულებელთა  
საუკუნეთა უკუნისამდე. ამინ“ – «Τὴς ἕγω σοῦν κυρίου, ἢ τίς σὺμβουλος αὐτοῦ  
ἔγένετο, ἢ τίς προέδωκεν αὐτῷ, καὶ ἀνταποδοθήσεται αὐτῷ; Ὅτι ἐξ αὐτοῦ καὶ δι’  
αὐτοῦ καὶ εἰς αὐτὸν τὰ πάντα. Αὐτῷ ἡ δόξα εἰς τοὺς αἰῶνας τῶν αἰῶνων. Ἀμήν.» [ვინ  
შეიცნო უფლის განზრახვა ან ვინ იყო მისი თანამზრახველი, ან ვინ უბოძა  
მას წინასწარ [რამდემ], უკან რომ მიეგოს მას? იმიტომ რომ მისგან და მისი  
მიერ და მასში არის ყოველივე. დიდება მას უკუნითი უკუნისამდე, ამინ]  
(შდრ. რომ. 34-36).

როგორც უკვე აღინიშნა, მარკოზის მომდევნო თხზულების სათაურია  
„სამოთხისათვის და შჯულისა სულიერისა“ (9-14) – Περὶ τοῦ παραδείσου, καὶ  
νόμου πνευματικῶν – [სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ]. ნაშრომი  
სრულადაა თარგმნილი ეფრემ მცირის მიერ. ხელნაწერის დაზიანების გამო  
თარგმანს აკლია ბოლო რამდენიმე წინადადება (შდრ. PG. 1860: 750-757).

Inc. 9: „წერილისა მისებრ, ვითარმედ სიყვარული სოფლისა ამის  
მტერობად არს ღმრთისა“ – «Ἡ φιλία τοῦ κόσμου» κατὰ τὸ γεγραμμένον «ἔχθρα  
ἔστιν εἰς Θεόν» [ქვეყნის (მიწიური) სიყვარული, წერილის მიხედვით,  
მტრობაა ღმერთის მიმართ] (შდრ. იაკ.4,4).

Des.14: „ესრეთვე არს ბოროტსა ზედა, რაჟამს კაცი ერჩედეს და გა-  
ნემზადებოდის, მაშინ სატანა უშინებს და აფიცხებს, ვითარცა ავაზაკი  
მახვლსა. რკინ...“ (როგორც აღვნიშნეთ, ტექსტის დასასრულს, ხელნაწერის  
დაზიანების გამო, მცირე მონაკვეთი აკლია შდრ. PG. 34, col.757).

– οὕτως δὲ ἐστὶ καὶ εἰς τὸ κακόν. Ὅτε ὁ ἄνθρωπος ὑπακούει καὶ ἐτοιμάζε-  
ται, τότε καὶ ὁ σατανᾶς ἐλάσνει καὶ παροξύνει, ὡς ὁ ληστὴς τὸ ξίφος – [ასევე  
არის ბოროტებასთან მიმართებითაც, როცა ადამიანი ემორჩილება და  
გამზადებულია (სატანისთვის), მაშინ სატანაც აღძრავს (ადამიანს) და  
უბიძგებს (იყენებს) [მას], ისევე როგორც ავაზაკი მახვილს].

მოცემულ თარგმანს მე-15 გვერდიდან უშუალოდ ებმის ტექსტი,  
რომელიც 30-ე გვერდზე სრულდება (15-30). ამ ტექსტს სათაური არ  
გააჩნია. გადამწერს ხელნაწერის აშიაზე აქვს მინაწერი, ამ უსათაურო  
თხზულების მდებარეობასთან დაკავშირებით. ჯერჯერობით, აღნიშნული  
ტექსტი იდენტიფიცირებული არ არის. ე. კოჭლამაზაშვილი სწორედ ხსე-  
ნებულ ანონიმურ ტექსტს მიიჩნევს თხზულების – „სამოთხისათვის და  
შჯულისა სულიერისა“ – გაგრძელებად, რაც, როგორც ჩვენმა გამოკვლევამ  
დაადასტურა, არამართებულია.

შემდეგი თარგმანი წმ. მარკოზის ნაშრომისა – „წინაგანწყობად სქო-  
ლასტიკოსისა“ (31-44) – Ἀντιβολὴ πρὸς τινὰ σχολαστικόν [პასუხი ვინმე  
სქოლასტიკოსის წინააღმდეგ] – იწყება 31-ე გვერდიდან და სრულდება 44-ე



გვერდზე. თარგმანს აკლია პირველი ექვსი გვერდი (*Disputtion cum quodam cauidico: CPG 6097, PG. 65, col. 1072-1102*).

Inc. 31: „ვითარმედ „არა დაცემულ ვართ“ და ბრძენ ყოფად აღსწერენ თავთა თვსთა, რომელთა არცაღა თვისი დაკუთმება იცინა“ – Πῶς οὖν οἱ τοιούτων καὶ τοσοῦτων ἀγαθῶν δι’ ἄγνοιαν καὶ προσευχῆς ἀμέλειαν ἐστειρημένοι λέγουσιν· Οὐ πεπτῶκαμεν; Καὶ σοφίαν ἐαυτοῖς ἐπιγράφουσιν, οἱ μὴδὲ τῆν ἰδίαν καταβίβην ἐπιστάμενοι! – [მართლაც, ისინი, ვინც სწორედ ამ და ესოდენ დიდ სიკეთეთაგან, უგუნურობისა და ლოცვის უგულვებელყოფის გამო, დაკლებულნი არიან, როგორღა ამბობენ: „არ დავცემულვართ“? სიბრძნეს მიაწერ საკუთარ თავს, და [ისინი] არც საკუთარ დაცემულობას აცნობიერებენ].

Des.44: „ხოლო ესე თქუეს, რამეთუ უნდა რადთა არა თანა მივწყებოდეთ ჩუენ ესევითართა მათ აღძრვათა, ქრისტეს იესუმს მიერ ღმრთისა ჩუენისა, რომლისა თანა მამასა თანა სულით წმიდითურთ შუენის დიდებამ, პატივი და სიმტკიცე, უკუნითი-უკუნისამდე ამინ“ – Ταῦτα δὲ εἰρήκασιν ἄσυνδι-ἀστους ἡμᾶς πρὸς τὰς τοιαύτας κινήσεις εἶναι βουλόμενοι. Ἐν Χριστῷ Ἰησοῦ τῷ Κυριῷ ἡμῶν ᾧ δόξα εἰς τοὺς αἰῶνας. Ἀμήν – [ეს კი უთქვამთ [მოციქულებს], რადგან სურდათ, რომ ჩვენ არ ავყოლოდით ამ მოქმედებებს (აღძვრას). ჩვენნი უფლის, იესო ქრისტეს მეშვეობით, დიდება მას საუკუნოდ, ამინ].

მომდევნო თარგმანის სახელწოდებაა „სიტყუაჲ მელქისედეკისთჳს“ (44-57) – Εἰς τὸν Μελχισεδέκ [მელქისედეკის შესახებ] – ის ხელნაწერის 44-57 გვერდებს მოიცავს და სრულადაა წარმოდგენილი (*De Melchisegech: CPG 6100, PG. 65, col. 1117-1140*).

Inc. 44: „უფალი სოფლისა აგარაკსა, ხოლო ჭემმარიტებისა ქადაგებისაჲ თესლსა მამსგავსებელი, პირველად თესლისა თესვასა იტყჳს და ეგრეთღა ღუარძლისასა“ – Ὁ Κύριος τὸν μὲν κόσμον ἀγρῶ, τὸ δὲ τῆς ἀληθείας κήρυγμα σπύργῳ παρεικάσας, σῖτον μὲν ἐν πρώτοις ἐσπάρθει λέγει, ὑστερον δὲ ζῆζάνια [უფალი, რომელმაც სამყარო – მიწას, ხოლო ჭემმარიტების მოძღვრება – თესვას შეადარა, ამბობს, რომ, პირველ რიგში, პური ითესება, შემდეგ კი მას [მოჰყვება] სარეველა] (შდრ. მთ.13.24,25).

Des.57: „რომელთა გურწამს სიტყუათა მიერ იგი თავადი მედ ღმრთისა, სათნოყოფითა და ძალითა და მადლითა ღმრთისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისაჲთა, მისსა დიდებამ და სიმტკიცე და მეუფებამ, აწ, და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ“ – οἱ πιστεύοντες τοῖς λόγοις αὐτοῦν ὡς Υἱοῦ Θεοῦ, εὐδοκίᾳ καὶ δυνάμει καὶ χάριτι τοῦ Θεοῦ Πατρὸς καὶ τοῦ Υἱοῦ καὶ τοῦ ἁγίου Πνεύματος. Αὐτῶν δόξα καὶ τὸ κράτος καὶ ἡ βασιλεία νῦν καὶ ἀεὶ καὶ εἰς τοὺς αἰῶνας τῶν αἰῶνων. Ἀμήν [ვისაც გვწამს მისი სიტყვები, როგორც ღმრთის ძისა, კეთილი ნებითა და ძალითა და წყალობითა ღმრთისა – მამისა და ძისა და სულიწმინდისა. მისი არის დიდება, სიმტკიცე (ძალა) და მეუფება, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ].

მომდევნო ნაშრომის სათაურია: „კითხვაჲ მისივე ნეტარისა მამისა მარკოზის მიმართ წმიდისა ნათლისღებისთჳს“. ხელნაწერში, გვერდების

1 (ხელნაწერს აკლია რამდენიმე ფურცელი და თარგმანი VII თავიდან იწყება შდრ. PG. 65, col. 1084).

გადანაცვლების გამო, თხზულება წყდება 78-ე გვერდზე. 79-ე გვერდიდან ამ თარგმანს მოჰყვება კვლავ უცნობი ძეგლი, რომელიც მთავრდება 86-ე გვერდზე. ეს ტექსტიც ამ ეტაპზე არ არის იდენტიფიცირებული. დავაზუსტებთ, რომ ე. კოჭლამაზაშვილი აღნიშნულ მეორე ანონიმურ ტექსტსაც ნაშრომის – „სამოთხისათვის და შჯულისა სულიერისა“ ნაწილად მიიჩნევს, რაც, როგორც აღვნიშნეთ არ შეესაბამება რეალობას.

A-60 ხელნაწერის 86-ე გვერდიდან უკვე იწყება წმ. დიადოქოს ფოტიკელის ნაშრომი.

ზემოთ აღნიშნული ორი უცნობი ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ეს ტექსტები ერთ მთლიანობას შეადგენს, ანუ ერთ, ჯერ-ჯერობით უცნობ ნაშრომთან გვაქვს საქმე, და შესაბამისად, ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი ნაშრომის – „სამოთხისათვის და შჯულისა სულიერისა“ გაგრძელება არ არის, როგორც ე. კოჭლამაზაშვილის გამოცემაშია მოცემული.

კვლევის დროს, ეფრემ მცირის თარგმანი – „სამოთხისათვის და შჯულისა სულიერისა“ საფუძვლიანად შევუდარეთ ბერძნულ დედანს და შედეგი სტატიაში ავსახეთ. ბერძნული ტექსტის ორი არსებული ვარიანტი გამოვიყენეთ: ჟ. მინის პუბლიკაცია (Patrologia Graeca, PG. 34, col. 749-757) და წმ. მაკარი დიდის „50 ჰომილიის“ 1985 წლის ბერძნული გამოცემა (Φιλοκαλία 1985: 112-115).

გარდა ამისა, ძველი ქართული და ძველი ბერძნული საღვთისმეტყველო ტერმინების დასაზუსტებლად და სრულყოფილი ანალიზისთვის ვისარგებლეთ ორი, ძველი რუსული – 1852 წელს მოსკოვის სასულიერო აკადემიის მიერ გამოცემული (Смирнов 2004: 5-575) და 1858 წელს ოპტინის უდაბნოს მონასტერში შესრულებული (Калинин<sup>2013</sup>: 3-224) – თარგმანით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს გარკვეული სხვაობა წმ. ეფრემის თარგმანსა და Patrologia Graeca-ის ტექსტს შორის. PG.-ის გამოცემის ტექსტში არ არის თხზულების დასაწყისი მონაკვეთი, დაახლოებით ერთი გვერდი, რაც სახეზეა ეფრემ მცირის თარგმანში და, ასევე ასახულია ძველ რუსულ თარგმანში. ჩვენი აზრით, ეს სხვაობა განპირობებულია იმით, რომ ეფრემ მცირე იყენებდა უძველეს ბერძნულ ხელნაწერებს. ძველი რუსული თარგმანებიც, გარკვეულწილად, ასევე განსხვავდება ჟ. მინის პუბლიკაციისგან და ყოველმხრივ თანხვედრია წმ. ეფრემის თარგმანთან. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ძველი ქართული და ძველი რუსული თარგმანები ერთ საერთო უძველეს ბერძნულ ნუსხას ეფუძნება.

წმ. ეფრემის აღნიშნული თარგმანი გამოირჩევა დედანთან ზედმიწევნითი თანხვედრით. აქვე ვიტყვით, რომ თარგმანის გარკვეულ მონაკვეთებში გამოყენებულია სპეციფიური ტერმინები, რომელთა საშუალებით განსაკუთრებული სიზუსტითა და შინაარსით გადმოცემულია დედანში არსებული თეოლოგიური აზრი.

მეტად მნიშვნელოვანია, ავტორის მიერ გადმოცემული სულიერი და ასკეტური სწავლებანი. მიუხედავად იმისა, რომ მოცულობით ნაშრომი არ არის დიდი, მასში გადმოცემული ეგზეგეტური საკითხები საკმაოდ მრავლისმომცველია.

განსაკუთრებით გამორჩეულია შემდეგი სწავლებანი:

1) სწავლება „სულიერი რჯულის შესახებ“, სადაც ავტორი განვიხილავს, რომ „მველადთქმისეული“ და „ახალადთქმისეული რჯული“ ერთი მთლიანობაა და, იგი თავად ძე ღმერთმა, იესო ქრისტემ გვიბოძა.

2) სწავლება ხუთი სათნოების შესახებ, რომელიც სრულად მოიცავს ყველა დანარჩენ სათნოებას.

3) ეკლესიის შესახებ სწავლება.

4) სწავლება ადამიანის ჰიპოსტასური ნების შესახებ.

დღეისათვის ამ თხზულების ავტორთან დაკავშირებით მეცნიერთა აზრი ორად იყოფა. ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ნაშრომი წმ. მარკოზ მონაზონს განეკუთვნება, ხოლო მეორე ნაწილის მიხედვით, წმ. მაკარი დიდს უკავშირდება.

აქედან გამომდინარე, საკვლევი თემის ერთ-ერთ მიზანდასახულობად სწორედ თხზულების ავტორის ვინაობის საკითხი მივიჩნევთ. შეძლებისდაგვარად მოვიძიეთ ორივე მოსაზრების მქონე მეცნიერთა გამოკვლევები და მათი არგუმენტები წინამდებარე სტატიაში წარმოვადგინეთ.

### მსჯელობა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სტატიაში განვიხილავთ ნაშრომის „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“ ავტორის ვინაობის საკითხსა და ისტორიულ ცნობებს.

თანამედროვე მეცნიერთა ნაწილი თხზულების ავტორად მიიჩნევს წმ. მაკარი დიდს და არა წმ. მარკოზ მონაზონს (Калинин 2013: 3-224). ეს მოსაზრება, ძირითადად ფრანგი მკვლევრის – ჟორჟ-მეტიუ დე დიურანის კვლევებს ეფუძნება. მარკოზ მონაზონის ტრაქტატების ორი ტომი, რომელიც ჟ. დიურანის ავტორობით გამოიცა, შესულია Sources chretiennes-ში („ქრისტიანული წყაროები“).

წყაროების მიხედვით, ნაშრომის „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“ წარმომავლობის ისტორია ამგვარია:

ფრანგი მეცნიერის, ჟ. დიურანის გამოკვლევიდან ჩანს, რომ შემონახულია წმინდა მარკოზ მონაზონის შრომების ორმოცამდე უძველესი ხელნაწერი, რომლებიც IX-XVI საუკუნეებით თარიღდება. ხელნაწერები განსხვავდება ერთმანეთისგან როგორც ნაშრომების შემადგენლობით, ისე თანმიმდევრობით. მრავალი უძველესი ნუსხა კი დაკარგულია (Durand 1999: 37). უძველესი თარგმანები შესრულებულია სირიულ, ქართულ და არაბულ ენებზე (სირიული თარგმანები თარიღდება VI საუკუნით (Durand 1999: 37), ხოლო ქართული და არაბული თარგმანები X საუკუნით არის დათარიღებული. ქართული თარგმანების წარმომავლობის შესახებ იხ. ჩაჩიბაია 2007: 10-11).

1624 წელს პარიზში ბერძნულ და ლათინურ ენებზე გამოიცა ორტომეული, სახელწოდებით: «Bibliotheca veterum Patrum», სადაც ეკლესიის მამათა თხზულებები იყო შემოკრებილი. ამ გამოცემის ავტორია ფ. დიუკი, რომელმაც წმ. მარკოზ მონაზონის, იმ დროისათვის ცნობილი, ყველა ნაშრომი დასახელებულ კრებულში შეიტანა, მათ შორის თხზულებაც „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“ (Ашмарин 2013: 40).



1858 წელს ოპტინის უდაბნოს მონასტერში პირველად ითარგმნა წმ. მარკოზ მონაზონის თხზულებები რუსულ ენაზე. ეს არის ერთ-ერთი ავტორიტეტული გამოცემა, სადაც ნაშრომი „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“ რიგით მეექვსე ადგილზეა განთავსებული მარკოზ მონაზონის ნაშრომთა შორის (Калинин 2013: 137-146).

1772 წელს მეცნიერმა ა. გალანდიმ თხზულების („სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“) ავტორად წმ. მაკარი დიდი მიიჩნია (PG. 65. Col. 895; Durand 1999: 37; ასევე იხ. Ашмарин 2013: 40-41).

ა. გალანდის ამ მონაცემებზე დაყრდნობით, 1864 წელს დაბეჭდილ ჟ. მინის პუბლიკაციაში (Patrologia Graeca) (PG.) ჩვენ მიერ განსახილველი თხზულება მაკარი დიდის შრომებში შესულია, როგორც „37-ე ჰომილია“ (PG. 34, col. 750-757).

XIII საუკუნით დათარიღებულ A-60 ხელნაწერში არსებული ტექსტი, სათაურით – „სამოთხისათვის და მჯულისა სულიერისა“ არის თარგმანი ნაშრომისა – Περι τοῦ παραδείσου, καὶ νόμου πνευματικῶν – [სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ]. ე. ჭელიძის მიერ გამოკვლეული და დასაბუთებულია, რომ თხზულების მთარგმნელი არის XI საუკუნეში მოღვაწე წმ. ეფრემ მცირე (ჭელიძე 2013: 74). ამ დრომდე მიიჩნეოდა, რომ ეფრემ მცირე იყო ის უადრესი მოღვაწე, რომელიც მარკოზ მონაზონს აღნიშნული თხზულების ავტორად ასახელებდა.

ჩვენმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ უადრესი წყარო, სადაც მარკოზ მონაზონი დასახელებულია ავტორად ნაშრომისა – „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“, არის X საუკუნის H-622 ხელნაწერი. ამავე ცნობებს ადასტურებს ძველი ფრანგული გამოცემა: «Bibliotheca veterum Patrum» და ძველი რუსული თარგმანი: «Марк Подвижник, преподобный. Аскетические творения».

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, PG.-ის ტექსტში არ არის თხზულების დასაწყისი მონაკვეთი, დაახლოებით ერთი გვერდი, რომელიც სახეზეა წმ. ეფრემ მცირის თარგმანში და, ასევე ასახულია ძველ რუსულ თარგმანში (Калинин 2013: 137). როგორც ჩანს, წმ. ეფრემ მცირე სწორედ იმ უძველეს ბერძნულ ნუსხას ეფუძნება, სადაც თხზულება – „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“ – წმ. მარკოზ მონაზონს განეკუთვნება, ისევე, როგორც ძველი რუსული თარგმანი.

შინარსობრივი და ენობრივი, ანუ ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, თხზულება – „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“ – ანალოგიურია წმ. მარკოზის სხვა თხზულებებისა.

მარკოზ მონაზონის ასკეტური ხასიათის ნაშრომთა თარგმანების ნაწილი წინათონურ პერიოდს მიეკუთვნება. აღნიშნული თარგმანები სხვადასხვა ხელნაწერში გაბნეულია და მათი უმეტესება ამ დრომდე არ იყო იდენტიფიცირებული.

X საუკუნით დათარიღებულ უძველეს ხელნაწერში H-622 (99r -103r)<sup>2</sup> კითხვა-მიგების ფორმით წარმოდგენილია ნაშრომი, რომელსაც დასაწყისში აქვს წარწერა: „მარკოზისი“, ანუ იგულისხმება მარკოზ მონაზონი. ამ დრომდე არ იყო ცნობილი მარკოზის საკუთრივ რომელი ნაშრომი იყო განთავსებული აღნიშნულ ხელნაწერში. ჩვენ გამოკვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ ხელნაწერში მოცემულია მარკოზ მონაზონის ორი ნაშრომის თარგმანი. საკუთრივ, ტექსტის დასაწყისში განთავსებულია რამდენიმე ამოკრებილი ნაწილი ნაშრომიდან – Περὶ τοῦ ἁγίου βαπτίσματος [წმინდა ნათლისღების შესახებ] (De baptism:CPG 6093; PG. 65, col. 985-1028)<sup>3</sup> (PG. 65, col. 1005 - 1117, B6):

1) Inc. 99r: „რამეთუ, რომელმან-იგი გულსკმა-ყოს, ვითარმედ ქრისტე მის შორის დაფარულ არს ნათლისღებითგან“ – Ὁ γὰρ νοήσας ἀκριβῶς ὅτι τὸν Χριστὸν ἀπὸ τοῦ βαπτίσματος ἐν ἑαυτῷ κεκρυμμένον ἔχει – [ვინც ჭეშმარიტად გაიაზრებს ნათლისღებიდან საკუთარ თავში დაფარულ ქრისტეს].

Des. 99r: „ყოველთავე შეგვწყნარებებს ესე ნათლისღებითა, გარნა არა ღირს არიან თვნიერ მტკიცითა სარწმუნოებითა მისივე“ – Δεκτικοὶ οὗν τούτων ἀπὸ τοῦ βαπτίσματος πάντες γεγόναμεν, τυχεῖν δὲ αὐτῶν μόνοι καταξιῶνται οἱ βεβαίωπιστοι<sup>4</sup> – [ყველანი ამ ყოველივეს მიმღებელი გავხდით ნათლისღებით, მაგრამ მხოლოდ ისინი გახდებიან მისი ღირსნი, რომელნიც განმტკიცებულნი არიან რწმენით].

2) Inc. 99v: „ამისთვის ჩუენ ვიტყვთ, ვითარმედ ადამის ცოდვაა სხუად არს და სხუად არს ეშმაკისი“ – τούτου χάριν ἡμεῖς λέγομεν ὅτι ἄλλο τί ἐστὶν ἢ τὸν Ἄδᾶμ ἁμαρτία, καὶ ἄλλο ὁ Σατανᾶς (PG. 65, col. 1116, A1) – [ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რომ სხვაა ადამის ცოდვა და სხვაა სატანის].

Des. 99v: „რომელი იპოვების მიახლებად გონებასა ჩუენსა მცირედმორწმუნეობითა“ – ἦτις καὶ αὐτὸ τὸ πρῶτον εἰρησῆσαι τῷ νῦν ἡμῶν δι’ ὀλιγοπιστίας ἐπίσκειται (PG. 65, col. 1116, A15) – [რომელიც, სწორედ მცირედმორწმუნეობის გამო მიეახლება ჩვენს გონებას].

3) Inc. 99v: „მისივე: ნუ შეჰკრებ ლაკუათა შინა უგოხელითა კირითა<sup>5</sup>,

2 (ხელნაწერის H-622 აღწერილობაში თარგმანის გვერდები მითითებულია ნუმერაციით: 32r-42r (H ფონდის აღწერილობა, 1951: 97). აღნიშნული ფაქტი განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ახალ Q ფონდში გვიან აღმოჩენილი ასკეტური კრებულის ფრაგმენტი შეუერთდა მის ძირითად ნაწილს, ხელნაწერ H-622-ს, Q ფონდის აღწერილობა, 1951: 201).

3 აღნიშნული თხზულების სრული თარგმანი შესრულებულია წმ. ეფრემ მცირის მიერ და შესულია XIII-ის A-60 ხელნაწერში: „კითხვაა მისივე ნეტარისა მამისა მარკოზის მიმართ წმიდისა ნათლისღებისთვის“.

4 ხელნაწერის მოცემული მონაკვეთი შეესაბამება მინის პატროლოგიის შემდეგ გვერდებს: PG. 65, col. 1005-1009.

5 ხელნაწერში მოცემული მონაკვეთის თარგმანი შინაარსით განსხვავდება ბერძნული ორიგინალისგან: „ნუ შეჰკრებ ლაკუათა შინა უგოხელითა კირითა“ – βίαιως ὠθίστητες καὶ ψυχῆν καὶ σῶμα ἐπὶ τοὺς κρημνοὺς τῆς ἡδυσπαιθείας καὶ εἰς φρέσκα ἀσφάλτου καταβάλλονται. [რომლებიც ძალით უბიძგებენ სულსა და სხეულს განცხრომისკენ და მას კუპრის ორმოში აგდებენ].

და წახუალ გზასა ვრცელსა შინა შაჰრასა სიტყვთა და წესითა სიბრძნითა სოფლისადათა შექმნულთა“ – βίαιως ἄθισντες καὶ ψυχὴν καὶ σῶμα ἐπὶ τοὺς κρημνοὺς τῆς ἡδυσπαθείας καὶ εἰς φρέατα ἀσφάλτου καταβάλλοντες, οὔτε πλατεῖα τις καὶ εὐρύχωρος ὁδός, ῥήμασί τε καὶ σχήμασι κοσμικῆς σοφίας κατεστρωμένη (PG. 65, col. 1116, D13) – [რომლებიც ძალით უბიძგებენ სულსა და სხეულს განცხრომისაკენ და კუპრის ორმოში აგდებენ (შდრ. დაბ. 14:10), არც რომელიმე გზაა ფართო და ვრცელი, მიწიერი სიბრძნის სიტყვებითა და სახეებით დაფარული].

Des. 99v: „და შემძლებელ არს კაცი, რომელი სიმართლის მოყუარე არს“ – Δύναται οὖν τις φιλαλήθης ὄν (PG. 65, col. 1116, A4) – [მართლაც, ძლიერია კაცი, რომელსაც ჭეშმარიტება უყვარს].

4) Inc. 100r: „**მისივე**: ხოლო ზრახუად გულისსიტყუათა თანა, რომელი მოიწევის, უწყით, ვითარმედ ნებითა ჩუენითა არიან“ – τὴν δὲ τῶν ἐπιγυνομένων λογισμῶν ὁμίλιαν προαιρετικὴν (PG. 65, col. 1117, B1) – [ის, რაც გულისზრახვებთან თანაზიარებას მოსდევს, ვიცით, რომ საკუთარი არჩევანია].

Des. 100r: „ხოლო ზრახვად ვნებითა ყოველითურთ განაშორნეს მათგან და შეურაცხვეს“ – τὴν δὲ πρὸς αὐτὴν ὁμίλιαν καὶ προσπάθειαν καθόλου παραιτησάμενοι (PG. 65, col. 1117, B6) – [ხოლო, თავად ურთიერთობა და ლტოლვა საერთოდ უარყვეს].

H-622 ხელნაწერში მოცემული მომდევნო ტექსტიც, როგორც წყაროდან დასტურდება, განეკუთვნება მარკოზ მონაზონს. კერძოდ, აღნიშნული ტექსტი არის ჩვენს სტატიამში განხილული: Περὶ τοῦ παραδείσου, καὶ νόμου πνευματικοῦ – „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“ – ნაწილის თარგმანი.

აღნიშნული მონაკვეთი მარკოზ მონაზონის ნაშრომის – Περὶ τοῦ παραδείσου, καὶ νόμου πνευματικοῦ (PG. 34, col. 750-757) „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“ თარგმანისა – ხელნაწერში H-622 ამ სახით შეესაბამება ჟ. მინის პუბლიკაციას:

Inc. 100r: „**კითხვა**: სთქუ, ვითარმედ ყოველი დაფარულ არს სულსა შინა სულიერსა“ – **Ἐρώτησις**: εἶπες, πάντα ἐν τῇ ψυχῇ πνευματικῶς ἀποκίπτεισθαι (PG. 34, col. 756 A8) – [კითხვა: თქვი, რომ ყოველივე სულიერად იმალება სულში].

Des. 101r: „ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: «იგი ჩუენ შორის არს და გზნდინ საქმისა ყოფად ნებისა მისისათვის»“ – κατὰ τὸν λέγοντα ὅτι αὐτός ἐστιν «ὁ ἐνεργῶν ἐν ἡμῖν καὶ τὸ θέλειν καὶ τὸ ἐνεργεῖν ὑπὲρ τῆς εὐδοκίας» (PG. 34, col. 756, C1) – [ნათქვამის შესაბამისად, რომ „თავად (დმერთი) არის ჩვენში მოქმედი კეთილმოსურნეობისკენ – სწრაფვაც (ნებელობაც) და მოქმედებაც“ (ფილიპ. 2,13)].

Inc. 101r: „**კითხვა**: მაშა რად არსა წერილისა უბრძანებს წიგნი კაცსა ყოფად?“ – **Ἐρώτησις**: Τί οὖν ἢ γραφὴ παραγγέλλει τῷ ἀνθρώπῳ ποιεῖν (PG. 34, col. 756, D9) [**კითხვა**: მაშ რის გაკეთებას განუცხადებს (ავალეებს) წმინდა წერილი ადამიანს?].

Des. 101v: „არამედ ჩუენგან ეძიებს ნებასა ოდენ, რად უკუე არს თარგმანებად ნებისად, არამედ შრომად ნებისთ?“ – Τίς δὲ ἢ φανέρωσεν τὸν θελή-  
ματος, εἰ μὴ πόντος ἕκαστος (PG. 34, col. 757, B4) – [ხოლო რა არის გამოჩინება  
ნებისა, თუ არა ნებაყოფლობითი მოღვაწეობა?].

როგორც ზემოთ განვიხილეთ, სწორედ მოცემული მონაცემი არის  
უძველესი და უმნიშვნელოვანესი წყარო, სადაც მარკოზ მონაზონი დასახე-  
ლებულია აღნიშნული თხზულების ავტორად.

H-622 ხელნაწერში ნაშრომის – „სამოთხისა და სულიერი რჯულის  
შესახებ“ – შემდეგ, კვლავ, კითხვა-მიგების ფორმით განთავსებულია ტექსტი  
(102r -103r), რომელიც ასევე მარკოზის ნაშრომად მიიჩნეოდა (H ფონდის  
აღწერილობა, 1951: 97). ჩვენი გამოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ ეს არის  
ნაწილი ღირსთა მამათა, ბარსანუფი დიდისა და იოანეს ცნობილი ასკეტური  
ნაშრომისა – βίβλος του βίου και ιαώντων εργασιών [„ბარსანუფისა და  
იოანეს კითხვა-მიგება“] (Νικόδημος 1816: 449-616). მოცემული მონაცემით,  
ორიგინალთან მიმართებით, სრულად მოიცავს 71-ე კითხვა-მიგებას, ხოლო  
74-ე კითხვა-მიგებას აკლია პირველი ორი წინადადება.

## დასკვნა

სამეცნიერო კვლევის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი იყო შემოკრება  
და იდენტიფიცირება ყველა იმ უცნობი ძველი ქართული თარგმანისა, რო-  
მელნიც გაბნეული იყო წინაათონურ ხელნაწერებში.

ჩვენ სტატიის დასაწყისში ვახსენეთ ძველი რუსული თარგმანები,  
ასევე, აღვნიშნეთ, რომ რუსული და ეგრემ მცირისეული თარგმანები  
ეფუძნება საერთო, უძველეს ბერძნულ ნუსხებს. ამასთან დაკავშირებით,  
ორიოდე სიტყვით გვინდა განვიხილოთ ძველი რუსული თარგმანი და  
მასში დამოწმებული წყაროები, ვინაიდან ეს საკითხი უკავშირდება ჩვენი  
საკვლევი თხზულების – „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“ – ავ-  
ტორის ვინაობას.

1858 წელს ოპტინის უდაბნოში გამოსაცემად მომზადდა წმ. მარკოზ  
მონაზონის ნაშრომების კრებული, რომელშიც შესულია „სამოთხისა და  
სულიერი რჯულის შესახებ“. ეს არის ყველაზე ავტორიტეტული და პირ-  
ველი რუსული გამოცემა წმ. მარკოზის ნაშრომებისა (Ашмарин 2013: 44).  
მთარგმნელი კომენტარში მიუთითებს, რომ ზოგიერთ გამოცემაში ამ თხზუ-  
ლების ავტორად მიჩნეულია წმ. მაკარი დიდი, მაგრამ რამდენიმე ძველ  
ხელნაწერში აღნიშნული შრომა მიეკუთვნება წმ. მარკოზ მონაზონს. თავად  
რუსი მთარგმნელი განმარტავს, რომ ისტორიული წყაროების სიმცირის გამო  
თხზულების ავტორის დასახელება რთულია, მაგრამ, მიუხედავად აზრთა  
სხვადასხვაობისა, მას ეს თხზულება წმ. მარკოზ მონაზონის შრომებში  
შეაქვს (Калинин 2013: 137).

მოსკოვის სასულიერო აკადემიის მიერ 1852 წელს შესრულდა თარგმანი  
წმ. მაკარი დიდის ნაშრომებისა, სადაც მითითებულია, რომ წმ. მაკარის  
37-ე ჰომილია, ზოგიერთი ძველი ბერძნული ხელნაწერის მიხედვით, გაი-  
გივებულია წმ. მარკოზ მონაზონის ნაშრომთან – „სამოთხისა და სულიერი  
რჯულის შესახებ“, ასევე, წმ. მაკარი დიდის 8-ე ჰომილიის ავტორი, ზოგიერ-



თი ხელნაწერის მიხედვით, არის წმ. მარკოზ მონაზონი. ამასთან, რამდენიმე სირიული ხელნაწერის მიხედვით, წმ. მარკოზ მონაზონის ერთი ნაშრომი ძალიან ჰგავს წმ. მაკარი დიდის 5-ე ჰომილიას (Смирнов 2004: 18). ასე რომ, ერთი და იგივე ნაშრომი, სხვადასხვა ხელნაწერის მიხედვით, მიეკუთვნება ან წმ. მაკარი დიდს ან წმ. მარკოზ მონაზონს.

ამრიგად, რომ შევაჯამოთ ჩვენი მსჯელობა, ამგვარ მოცემულობას მივიღებთ: ერთი მხრივ, უძველესი ბერძნული ხელნაწერების გარკვეულ ნაწილში ნაშრომი – „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“ – წმ. მარკოზ მონაზონს განეკუთვნება. ამ ნუსხებზე დაყრდნობით, X საუკუნის უძველეს ქართულ ხელნაწერში აღნიშნული თხზულების ავტორად მარკოზ მონაზონია დასახელებული. ამის შემდგომ, XI საუკუნეში მოღვაწე წმ. ეფრემ მცირე ამავე თხზულების ავტორად მარკოზ მონაზონს ასახელებს. ფ. დიუკმა 1624 წელს პარიზში გამოსცა მარკოზ მონაზონის შრომების კრებული ბერძნულ ენაზე ლათინური თარგმანით. ამ კრებულში შევიდა ნაშრომი „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“ (Ашмарин 2013: 40). ამავე ხელნაწერებზე დაყრდნობით, 1858 წელს ოპტინის უდაბნოს მონასტერში პირველად ითარგმნა წმ. მარკოზ მონაზონის შრომები რუსულად. თარგმანში დასახელებული ნაშრომი წმ. მარკოზ მონაზონის შრომებშია შესული. ამავს ადასტურებს 1852 წელს მოსკოვის სასულიერო აკადემიის მიერ შესრულებული თარგმანი წმ. მაკარი დიდის შრომებისა, სადაც მითითებულია, რომ მისი 37-ე ჰომილია ძველ ბერძნულ ხელნაწერებში მარკოზ მონაზონს მიეკუთვნება სათაურით: „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“.

მეორე მხრივ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ა. გალანდიმ 1772 წელს მანამდე არსებული გამოცემების მიხედვით გამოსცა მარკოზ მონაზონის ნაშრომთა კრებული, მაგრამ მასში არ შეიტანა ნაშრომი – „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“. ა. გალანდიმ ეს ნაშრომი წმ. მაკარი დიდს მიაკუთვნა. ამ გამოცემის საფუძველზე 1864 წელს დაიბეჭდა ჟ. მინის Patrologia Graeca-ს 65-ე ტომი, რომელშიც დამოწმებულია ა. გალანდის მოსაზრება დასახელებულ შრომასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით, თხზულების ავტორია მაკარი დიდი, მაგრამ არ არის მითითებული, თუ რამ განაპირობა ეს მოსაზრება (PG, t. 65, col. 895; აგრეთვე იხ. Ашмарин 2013: 44,41). თანამედროვე ფრანგი მკვლევარი ჟორჟ-მეტეიუ დე დიურანიც იზიარებს აღნიშნულ შეხედულებას (Durand 1999: 42–43).

ზემოთ ჩამოთვლილ ყველა მონაცემსა და მეცნიერულ კვლევას პატივს მივაგებთ, და შესაბამისად ვაფასებთ, მაგრამ არამართებულად მიგვაჩნია უძველესი ქართული წყაროების უარყოფა და იმ უძველესი ბერძნული ხელნაწერების უფულებელყოფა, რომელთაც ეყრდნობა უძველესი ქართული თარგმანები და ძველი რუსული თარგმანი. გასათვალისწინებელია, რომ განხილული თხზულება სრული სახით სწორედ ამ ხელნაწერებშია და შესაბამის თარგმანებშია გადმოცემული. აქედან გამომდინარე, „ვინაიდან, როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, მონაცემთა სხვაობის შემთხვევაში, ურყევი ტექსტოლოგიური თეზისის შესაბამისად, უპირატესობა ენიჭება სწორედ ქრონოლოგიურად უადრეს მონაცემს“ (ჭელიძე 2020: 617),



ამ შემთხვევაში კი უადრეს წყაროდ, სწორედ H-622 ხელნაწერი და შემდეგ ეგრემ მცირისეული მონაცემი გვევლინება. წმ. ეგრემ მცირის ავტორიტეტზე საუბარი ზედმეტად მიგვაჩნია, მაგრამ მაინც დავიმოწმებთ მეცნიერთა შეხედულებას: „ის (ეგრემი) დიდი სიფრთხილით აიღებდა ხოლმე ხელში ამა თუ იმ თხზულებას სათარგმნად. პირველ ყოვლისა კი ცნობებს ჰკრეფდა“ (კეკელიძე 1980: 254). ვითვალისწინებთ რა ყველა ზემოთ განხილულ არგუმენტს, უპირატესობას ვანიჭებთ იმ მოსაზრებას, რომ ნაშრომის – „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“ – ავტორი წმ. მარკოზ მონაზონია.

წმ. მარკოზ მონაზონისა და წმ. მაკარი დიდის შრომების შედარებამ ცხადყო, რომ მათი ნაშრომები ერთმანეთს ნამდვილად ჰგავს, როგორც სტილით, ასევე, სწავლების შინაარსით. ეს ფაქტი ამყარებს მოსაზრებას ამ ორი დიდი მამის მჭიდრო სულიერი კავშირის შესახებ (Ашмарин 2013: 14), და ამით დასტურდება მხოლოდ ის, რომ წმ. მაკარი დიდის პიროვნებამ და მისმა ნაშრომებმა გავლენა იქონია წმ. მარკოზ მონაზონისა და მის შრომებზე.

**მადლიერება.** კვლევა PHDF-21-130, „წმინდა მარკოზ მონაზონის საღვთისმეტყველო სწავლებათა ძველი ქართული თარგმანი (ფილოლოგიურ-თეოლოგიური ანალიზი)“, განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით / This research PHDF-21-130, «Georgian Translation of the Theological Teachings by St. Marcus the Ascetic (philological-theological analysis)», has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG).

### დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

kochlamazashvili, ek. (2023). *tsm. markoz ganshorebulis tkhzulebata dzveli kartuli versiebi*, tbilisi. (კოჭლამაზაშვილი, ექ. (2023), *წმ. მარკოზ განშორებულის თხზულებათა ძველი ქართული ვერსიები*, თბილისი).

chelidze, ed. (2013). *tsminda mghvidzareta mshveni erbat mokvareoba*, tsminda diodokos potikeli, dzveli berdznulidan targmna da skolioebi daurto edisher chelidzem, t. I(III), tbilisi. (ჭელიძე, ედ. (2013). *წმინდა მღვიდარეთა მშვენიერებათმოყვარება*, წმინდა დიოდოქოს ფოტიკელი, ძველი ბერძნულიდან თარგმნა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, ტ. I(III), თბილისი).

chelidze, ed. (2020). *tsm. ioane damaskelis erti saghvtismetkvelo gamonatkvamis shesakheb*, tbilisi sasuliero akademi, saghvtismetvelo-sametsniere shromebi, t. X-XI, tbilisi. (ჭელიძე, ედ. 2020). *წმ. იოანე დამასკელის ერთი საღვთისმეტყველო გამონათქვამის შესახებ*, თბილისის სასულიერო აკადემია, საღვთისმეტყველო-სამეცნიერო შრომები, ტ. X-XI, თბილისი).

chachibaia m. (2007). *kartul-siriuli literaturuli urtiertobidan, martviri sabatsmideli da misi shroma «sinanulists da simdablis»*: (gamokvleva, tekstebi, targmani), tbilisi. (ჩაჩიბაია მ. (2007), ქართულ-სირიული ლიტერატურული ურთიერთობიდან, მარტვირი საბაწმიდელი და მისი შრომა «სინანულისთვის და სიმდაბლისა»: (გამოკვლევა, ტექსტები, თარგმანი), თბილისი).

kartul khelnatserta aghtseriloba (1957). sakartvelos sakhelmtsipo muzeumis kartul khelnatserta aghtseriloba, muzeumis khelnatserta akhali Q kolektsia, t. I, shedgenili el. metrevelis da kr. sharadzis mier, il. abuladzis redaktsiit, tbilsi. (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (1957). საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, მუზეუმის ხელნაწერთა ახალი Q კოლექცია, ტ. I, შედგენილი ელ. მეტრეველის და ქრ. შარაძის მიერ, ილ. აბულაძის რედაქციით, თბილისი).

kartul khelnatserta aghtseriloba (1951). sakartvelos sakhelmtsipo muzeumis kartul khelnatserta aghtseriloba, H kolektsia, t. II, shedgenilia da dasabechdad gamzadebulia lili kutateladzis mier, il. abuladzis redaktsiit, tbilsi. (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (1951), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H კოლექცია, ტ. II, შედგენილია და დასაბეჭდად გამზადებულია ლილი ქუთათელაძის მიერ, ილ. აბულაძის რედაქციით, თბილისი).

Ashmarin, A. (2013). Bogoslovie prep. Marka Podvejnika, Sergiev posad. (Ашмарин А. (2013). Богословие преп. Марка Подвизника, Сергиев Посад).

Smirnov, S. (2004). protoierei Sergii Smirnov, Dухovnie besedi, poslania I slova/ Преподобний Макарий Великий, Изд-во Сретенского монастыря. (Смирнов, С. (2004). протоиерей Сергей Смирнов, Духовные беседы, послания и слова/ Преподобный Макарий Великий, Изд-во Сретенского монастыря).

Kalinin, M. (2013). Mark Podvejnik, prepodobnii. Asketicheskie tvorenia. – 2-e izd. Калинин, М. (2013). Марк Подвизник, преподобный. Аскетические творения. – 2-е изд.

Durand, G.-M. (1999). Analyse // Marc le Moine. Traités. — Paris: Cerf. — T. 1. (Sources chrétiennes. Vol. 445).

Durand, G.-M. (2000). Analyse // Marc le Moine. Traités. — Paris: Cerf. — T. 2. (Sources chrétiennes. Vol. 455).

Geerard, M. (1979). Clavis Patrum Graecorum III, CVRA ET STVDIO, Maurice Geerard, Brepols-Ternhout.

Νικόδημος Α. (1816), Συγγραφέν ὑπο τοῦ Ἁγίου Νικοδήμου τοῦ βίου τῶν ὁσίων καὶ ἱερῶν συγγραφέων τῆς βίβλου, Βαρσανουφίου καὶ Ἰωάννου, Venetiis.

Φιλοκαλία (1985). Οἱ 50 Πνευματικὲς ὁμιλίαι τοῦ Ἁγίου Μακαρίου του Αἰγυπτίου ἔχουν κυκλοφορήσει (πρωτότυπο κείμενο καὶ μετάφραση) στον τόμο: Φιλοκαλία τῶν Νηπτικῶν καὶ Ἀσκητικῶν, Τόμος 7, Μακάριος ο Αἰγύπτιος, Πατερικά ἐκδόσεις “Γρηγόριος ο Παλαμάς”, Θεσσαλονίκη.

Migne (1864). Migne J.-P., Patrologiae Cursus Completus, Accurante J.-P. MIGNE, Bibliothecae Cleri universae, Tomus LXV.